თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 7 თებერვალი სხდომის ოქმი #2

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის სწავლული მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 24, სტუდენტები – 4, სულ – 28 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისთვის ანკეტა–კითხვარების დამტკიცება;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სმაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელშიც საბჭოს თავმჯდომარის ბატონი თ. ბერიძის თხოვნით შევიდა შესწორება და შესწორებული ვარიანტი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

   /საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ ბერიძე/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისთვის ანკეტა–კითხვარების დამტკიცება;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში (2013-2015 წწ) - მოდულების „საერთაშორისო ეკონომიკა“, „ბიზნესის ეკონომიკა“ და „საერთაშორისო ბიზნესი“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

6. ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების და ტურიზმის მენეჯმენტის მე-4 და მე-5 საფეხურის საფეხურის პროგრამის კვალიფიკაცია დაზუსტების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ ბერიძე/

მომხსენებელმა ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს გააცნო სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მ.შ. სოფიო ჩიტაძის განცხადება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა სიის ცვლილებასთან დაკავშირებით, სადაც სტუდენტ გიორგი ლოხიშვილის ნაცვლად საბჭოს წევრად უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით კენჭი უნდა ეყაროს ერეკლე ზარანდიას.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. რ. გველესიანმა, სტ. ს. ჩიტაძემ.

პროფ. ქ. მარშავამ აღნიშნა, რომ საბჭოს სიის შემადგენლობის განახლება უნდა შეეხოს აკადემიურ პერსონალსაც, რადგან ვიცით, რომ შეიქმნა ახალი კათედრა და მისი ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ჩვენ ადრე გვქონდა მსჯელობა, რომ თვითეული კათედრიდან ყოფილიყო ორ-ორი წევრი ეს რომ გაგვეთვალისწინებინა და არსებული მაქსიმალური ქვოტა 40 წევრი არ გვქონოდა ათვისებული ეხლა ეს პრობლემა არ იქნებოდა. შემოვდივარ წინადადებით, რომ გავითვალისწინოთ აღნიშნული და განახლებულ იქნას საბჭოს სიითი შემადგელობა, რომ არსებული უხერხულობა მოიხსნას ახალი კათედრის ხელმძღვანელთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე - თქვენი წინადადება გასათვალისწინებელია ქალბატონო ქეთევან

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: შევიდეს შესაბამისი ცვლილება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისთვის ანკეტა–კითხვარების დამტკიცება.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. გ. ღაღანიძემ, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, სტუდენტმა ს. ჩიტაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: **1.** დამტკიცდეს 2014-15 სასწავლო წლისთვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა–კითხვარი და სამაგისტრო პროგრამების ანოტაციები დადგენილი ფორმის მიხედვით (იხილეთ დანართი);

2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნულის დამტკიცება.

მოისმინეს: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა ნინო პაპაჩაშვილმა საბჭოს გააცნო ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის აღმასრულებელი დირექტორის, ერიკ ლივნის წარდგინება ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო პროგრამა დაასრულა ერთმა სტუდენტმა - ქეთევან

ბაბიაშვილმა. როგორც წესი, ჩვენი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახური ამოწმებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას, სტუდენტის მიერ გავლილი საგნების შესაბამისობას სასწავლო გეგმასთან. ქ. ბაბიაშვილი ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე 2009–10 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში. აქვს გავლილი ყველა სავალდებულო და არჩევითი საგანი მომდევნო წლებში შეთავაზებული პროგრამებიდან. კურიკულუმის მიღმა გავლილი აქვს დამატებითი 3 კრედიტიანი საგანი. შემდგომი რეგირებისთვის საჭიროა ეთხოვოს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაციას სავალდებულო თანამშრომლობა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან პროგრამულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე შესაძლებელია თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი კურსდამთავრებულისათვის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მინიჭება.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის 2014 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ბაბიაშვილი ქეთევან

მოისმინეს: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. რ. გველესიანმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულს

1. გიორგი ჯვარშეიშვილი.

მოისმინეს: ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (2013-2015 წწ.) მოდულებში – „საერთაშორისო ეკონომიკა“, „ბიზნესის ეკონომიკა“, „მაკროეკონომიკა“ და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის (2013-2015 წწ.) მოდულში – „საერთაშორისო ბიზნესი“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ნ. თოდუამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (2013-2015 წწ.) მოდულებში „საერთაშორისო ეკონომიკა“ და „ბიზნესის ეკონომიკა“ მეორე (გაზაფხულის) სემესტრში არჩევით სასწავლო კურსად დაემატა საგანი „ეკონომიკური დოქტრინები“. ასევე, „მაკროეკონომიკის“ მოდულში სასწავლო კურსი „მაკროეკონომიკური დოქტრინები“ შეიცვალა სასწავლო კურსით „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“ (იხ. დანართები - ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, სასწავლო კურსის „ეკონომიკური დოქტრინები“ სილაბუსი, სასწავლო კურსის „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“ სილაბუსი); ბიზნესის ადმინისტრირების (2013-2015 წწ.) სამაგისტრო პროგრამაში - მოდულის „საერთაშორისო ბიზნესი“ სტრუქტურაში მეორე (გაზაფხულის) სემესტრში არჩევით სასწავლო კურსად დაემატა საგანი „ეკონომიკური დოქტრინები“ (იხ. დანართები - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, სასწავლო კურსის „ეკონომიკური დოქტრინები“ სილაბუსი).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე
ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე